ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 33 (9973) • 20 seqtemberi • 2012 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი




რამაზ
ნიკოლაიშვილი
დასაქმება
ჯანდაცვა ყველას
ძლიერი სოფელი
1000 ლარიანი ვაუჩერი

5

www.UNM.ge

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოზურგეთი

მეტი სარგებელი ხალხს


## „ქართული ოცნების“ საპროტესტო მსვლელობა ოზურგეთში

მარი კოძოევი



„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაცია პატიმრების წამების ფაქტებს გამოეხმაურა და ქალაქის ქუჩებში მსვლელობა მოაწყო.

ოცნების აქტივისტები და მსვლელობის სხვა მონაწილეები პირველად ადმინისტრაციული შენობის წინ შეჩერდნენ და სკანირებდნენ. „ეს უნდა დამთავრდეს" „ამ ყველაფერს პირველ ოქტომბერს უნდა დაესვას წერტილი" „არა დამნაშავე ხელისუფლებას" „შეწყდეს პატიმართა წამება" ამბობდნენ მსვლელობის მონაწილეები.

## „ჩვენ ვნახეთ როგორ ირღვევა პატიმართა უფლებები"

პატიმრების წამები ფაქტებს „თავისუფალი საქართველოს“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია გამოეხმაურა „არ შეიძლება ნაჩვენებმა კადრებმა გულგრილი დატოვოს ადამიანი. ჩვენ ვნახეთ როგორ ირღვევა პატიმართა უფლებები ადამიანები არ არიან დაცულები. ჩვენთან ხდება ის, რაც სხვა არც ერთ ქვეყანაში. ამ კადრებმა ნაც. მოძრაობის დიქტატურას ფარდა ჩამოხადა. გამოაჩინა მისი ნამდვილი სახე. მოვუწოდებ მოსახლეობას, დავდგეთ ერთად და ამ ყველაფრის წინააღმდეგ ავიმაღლოთ ხმა, რადგან მსგავსი შემთხვევები ჩვენს ოჯახებსაც არ შეეხოს". განაცხადა მინდია კეჭაყმაძემ.

## „იდეების ბანკის“ პრეზენტაცია

გაზეთი „ალიონი“



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის რამაზ ნიკოლაიშვილის საარჩევნო შტაბში ახალი პროექტის —„იდეების ბანკის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომლის სლოგანია „ჩაერთე და გააძლიერე შენი რეგიონი“ — „ერთად უკეთესად გამოვა“.

ახალი პროექტის „იდეების ბანკის“ მიზანია ხალხში გაბნეული იდეების შეკრება და რეგიონის განვითარებისათვის მათი გამოყენება. პროექტი გურიაში მცხოვრებ ნიჭიერ ადამიანებს მისცემს საკუთარი შესაძლებლობებისა და იდეების რეალიზების საშუალებას.

ეს იქნება დარგობრივად მრავალმხრივი პროექტი და ის რეგიონის, კერძოდ კი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დარგის თუ სფეროს განვითარებას უნდა მოემსახუროს.

დეპუტატობის კანდიდატის რამაზ ნიკოლაიშვილის რაიონის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან (მეცნიერები, არქიტექტორები, კულტურის და სამედიცინო დარგის მუშაკები, ფერმერები, ბიზნესმენები, პედაგოგები, სპორტსმენები და სხვა...) შეხვედრის მიზანი იყო პროექტის გაცნობა და ჩართვა იმ ადამიანებისა ვისაც აქვს უნარი კვალიფიციურად იმუშაონ ამა თუ იმ სფეროს განვითარების ინოვაციურ პროექტებზე.

შეხვედრის შემდეგ რამაზ ნიკოლაიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა: — იყო იდეები, რომელიც სამწუხაროდ ჯერ არ არის გამოყენებული. ამ იდეების გამოყენების შესაძლებლობა შემდეგნაირად დავინახეთ, შევქმენით გვერდი ფეისბუქზე, სადაც ყველა იდეა ერთად დაგროვდება. ამ იდეებს კომპეტენტური პირები შეაფასებენ და დაახარისხებენ. ასე შესაძლებელი გახდება გამოვიყენოთ იდეები, რომლებიც ადამიანებს წლებია აწუხებთ.

## „არ არსებობს ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს შეაჩერებს"



კოალიცია „ქართული ოცნების“ შეკრება გუშინ ოზურგეთის თეატრში გაიმართა. ადგილობრივი ლიდერების გარდა შეხვედრას თბილისიდან სპეციალურად ჩამოსული პოლიტიკოსები და ხელოვნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვერდა გახსნა და წამყვანობა იტვირთა ოცნების დეპუტატობის კანდიდატმა, ზვიად კვაჭანტირაძემ. მან სათითაოდ წარადგინა სტუმრები, რომლებიც თავის მხრივ შეკრებილ საზოგადოებას კოალიციის მხადაჭერისკენ მოუწოდებდნენ.

ეკა ბესელია: ახლოსაა დღე, როცა ვიზეიმებთ გამარჯვებას. ოცნებების ასრულება დაიწყება პირველ ოქტომბერს. არ არსებობს ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ შეაჩერებს, ამის ძალა არ აქვს სააკაშვილს. სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ცას და დედამიწას შორის, ასეთივე განსხვავებაა ზვიად კვაჭანტირაძესა და ნაციონალების კანდიდატს შირისაც, რომლის სახელის ხსენებაც არ მინდა. შეხედეთ მათ და ნახავთ რა იოლია არჩევანის გაკეთება.

დიმა ჯაიანი (მსახიობი): დგება ნანატრი დღე, რომელსაც ქართული ოცნების ასრულება ქვია. ამ თეატრის სცენაზე ბევრჯერ გამოვსულვარ, მაგრამ ყველაზე ამაყი დღეს ვარ ისეთი ადამიანები არიან ჩემს გვერდით.

მერაბ თავაძე (მსახიობი): რატომ ვდგავართ ხელოვანები ოცნების გვერდით? იმიტომ, რომ ჩვენ გვჯერა მათი.

# როცა ჟურნალისტს თავს ესხმიან

**გაზეთი „ალიონი“**

**ბოლო პერიოდში, რეგიონში თავისუფალ მედიასაშუალებებს არაერთი პრობლემა შეექმნათ, ეზღუდებათ ინფორმაციის მოპოვების, გადაადგილების უფლება, არც თუ იშვიათი გახდა ჟურნალისტების მიმართ სიტყვიერი მუქარისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც კი. ამის მაგალითი 14 სექტემბერს გაზეთ „ალიონის“რედაქტორი ნუგზარ ასათიანი გახდა, რის გამოც ჟურნალისტურ საქმიანობაზე ხელშეშლის, სიტყვიერი მუქარისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ საქართველოს შსს ოზურგეთის სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონულ პროკურატურაში შესაბამისი განცხადებით მიმართა.**




14 სექტემბერს, საღამოს 17 საათსა და 30 წუთზე ქ. ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქ. №171-ში მდებარე ინმეწარმე ვერონიკა დავიდოვის მაღაზიის წინ ძველი, უცხოური მარკის ავტომანქანა გაჩერდა. იქიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა, მაღაზიაში შევიდა და მაცივრიდან 2,5 ლიტრიან პლასტმასის ჭურჭელში ჩასხმული ლუდი „ზედაზენი“ აიღო. გამყიდველს დახლზე ფული დაუდო, სალაროს გასავლის ქვითრის ამოჭრას არ დალოდებია და მაღაზიიდან გავიდა...

**ვერონიკა დავიდოვა:**–„ ელექტროხაზების სამუშაოებს ატარებდნენ და ჩვენს უბანში სამი დღე შუქი უმეტესად გამორთული იყო. სალაროს ამჟამინდელი აპარატები მეტად მგრძნობიარენი არიან და აკუმულატორები უშუქოდ დიდხანს ვერ მუშაობენ. სამჯერ მივიტანე საგადასახადოში, სადაც მითხრეს, რომ შეგიცვალოთ, შეიძლება უარესი აპარატი შეგხვდესო. 17 საათსა და 24 წუთზე მქონდა გაჭრილი ბოლო გასავლის ქვითარი. ის ლურჯთვალებიანი ახალგაზრდა (საშემოსავლო სამსახურის კერძო, უშტატო ინსპექტორი მირიან ნოზაძე-რედ.) რომ შემობრუნდა, სალაროს აპარატს ვაწვალებდი, გასავლის ქვითრის ამოსაჭრელად.

–მე საგადასახადოდან ვარ, თქვენ ჩემთვის სალაროს ქვითარი არ მოგიციათ და უნდა დაგაჯარიმოთო.



წნევა მაწუხებს და კიდევ უფრო ამიწია, რადგან ადრე ფოთელებმა მსგავს სიტუაციაში 500 ლარით დამაჯარიმეს.

–შვილო, შენც ხომ ხედავ სალაროს აპარატი აღარ მუშაობს. წინა ქვითარი 5 წუთის წინ ამოვჭარი, თორემ ეს რომ მენახა მაღაზიაში მუშაობას შევწყვეტდი-მეთქი. ჩემი ნათქვამი შეამოწმე და ჯარიმას ნუ ამომიწერ-მეთქი.

–თუ მუშაობა არ შეგიძლია სახლში წადიო–იყო მისი პასუხი. წნევამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და ცუდად გავხდი. ხალხი შეგროვდა. სასწრაფო გამოიძახეს. ექიმი მარინა მჟავია მოვიდა. „საგადასახადომ“პატრულს გამოუძახა, არ ვიცი რატომ. ამოწერეს მორიგი 500-ლარიანი ჯარიმა და წავიდნენ...“

ამის შემდეგ ხსენებული ჯგუფი სავაჭრო ცენტრ „მოდერნის“მოპირდაპირედ, თაყაიშვილის ქუჩა №7-ში მდებარე მაკა ჭანიას მაღაზიას ესტუმრნენ. კვლავ იგივე სცენარი, 2,5 ლიტრიანი ლუდი „ზედაზენი,“ და კონფლიქტი მოვაჭრეებსა და კერძო ინსპექტორებს შორის.

**ნუგზარ ასათიანი:**–სახლში მიმავალმა 19 საათსა 38 წუთზე სავაჭრო ცენტრ „მოდერნის“მოპირდაპირე მხარეს, თაყაიშვილისა და ანტონ ნაკაშიძის ქუჩების კვეთაზე სერიოზულ კონფლიქტს შევესწარი, რომელიც ხმამაღალ სიტყვიერ დავაზე და გაწევ-გამოწევაზე იყო გადასული. აქ 20-მდე ადამიანი იყო თავშეყრილი.

როგორც ჟურნალისტი, დავინტერესდი საქმის ვითარებით, ორიოდ წუთში გავარკვიე რა მოხდა და ჩემს პროფესიულ მოვალეობას შევუდექი. ორი თუ სამი სურათი გადავიღე, რასაც კერძო ინსპექტორების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი, შესაბამისი მოწმობა შემეძლო მეჩვენებინა და საჯარო სივრცეში უფლება მქონდა სურათები გადამეღო. ინსპექტორ მირიან ნოზაძეს (ასე გამეცნო და რაღაც მოწმობა მაჩვენა) შეურაცხყოფა არ მოუყენებია, **ხოლო მეორემ (როგორც შემდეგ დავადგინეთ გიორგი ვარდოსანიძემ) უარი განაცხადა ეთქვა თუ ვინ იყო, ჯერ დამემუქრა, ხოლო შემდეგ გამოიწია და ხელიდან ფოტოაპარატის დაგდება მოინდომა. ამაში მას ხელი შეუშალა სოფ. ჭანიეთის მცხოვრებმა ნიკოლოზ ურუშაძემ. „ინსპექტორმა“ ფოტოაპარატზე ხელის დარტყმა და მისი მოძრავი ობიექტივის დაზიანება მაინც შეძლო. ამასთან აგრძელებდა მუქარას:–„ნახე შენ რა დაგმართოო “**

მე იქვე მყოფ იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტ იამზე მეძარნიშვილს ვთხოვე პატრული გამოეძახა. პოლიციის მანქანა რამდენიმე წუთში მოვიდა. პოლიციელებს ვუთხარი ჩემზე განხორციელებული ძალადობის ფაქტის შესახებ. მათ კერძო საშემოსავლო სამსახურის ინსპექტორები პოლიციაში წაიყვანეს.

მანამდე მირიან ნოზაძემ მაჩვენა საათის ფორმის მცირე ზომის ჩამწერი, რომელიც ყელზე ეკეთა და მოვაჭრეებათან იქ მომხდარი კონფლიქტი და მისი შემდგომი გაგრძელება იქნებოდა ჩაწერილი. იქვე მყოფმა მოქალაქეებმა მომხდარის შესახებ რედაქციებსაც შეატყობინეს. შემთხვევის ადგილზე გაზეთ „გურია ნიუსის“ჟურნალისტი ჟანა მეგრელიშვილი და „ინფო 9“-ის გადამღები ჯგუფი მოვიდნენ...“

**ჟურნალისტურ საქმიანობაზე ხელშეშლის, სიტყვიერი მუქარისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ განცხადებებით როგორც პოლიციას. ისე ოზურგეთის რაიონულ პროკურატურას მივმართეთ.**

უნდა ითქვას, რომ მათ მომხდარზე დროული რეაგირება მოახდინეს, მიმდინარეობს გამოძიება.

* * *

### ორიოდ სიტყვა კერძო ინსპექტორების შესახებ

ეს ინსტიტუტი შემოსავლების სამსახურმა შექმნა. ფაქტიურად აქ „დასაქმებული“ახალგაზრდები შემოსავლების სამსახურის უშტატო ინსპექტორები არიან და მათ დიდი ბრძოლა უწევთ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. ეს ყველაფერი კი წვრილი მეწარმეების შემოსავლებზე აისახება. ინდმეწარმე ვერონიკა დავიდოვა, როგორც მან გაზეთ „ალიონს“განუცხადა, „ენერგო პრო ჯორჯიას“ცნობის მიღებისთანავე სასარჩელო განცხადებით ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მიმართავს.

**ესე მახარაძე,** „ენერგო პრო ჯორჯიას“ოზურგეთის მომსახურების ცენტრის ოსტატი:– სოფ. მთისპირში ელექტროსადგურის ასამოქმედებლად მიმდინარეობს მთისპირიდან ოზურგეთის ქვესადგურს დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის, 35 კილოვოლტიანი ხაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამის გამო, როგორც წინა დღეებში, ისე 14 სექტემბერს უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, დილის 9 საათი და 15 წუთიდან 19 საათსა და 25 წუთამდე გათიშული იყო მე-10 „ფიდერი“, დავით აღმაშენებლის ქუჩის კონკრეტულ მონაკვეთს ამ პერიოდში ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ამის შესახებ შესაბამისი ჩანაწერებია გაკეთებული როგორც ჩვენს, ისე აჭარის სადისპეჩეროს და ქვესადგურის მორიგის ჟურნალებში.“

არავინ დაობს, რომ ნებისმიერმა მეწარმემ სალაროს ქვითარი უნდა გამოწეროს, მაგრამ საზოგადოებისათვის კერძო ინსპექტორების მუშაობის ასეთი მეთოდები, როდესაც არ ითვალისწინებენ არანაირ გარემოებას, მიუღებელია.

**რაც შეეხება გაზეთ „გურია ნიუსისათვის“ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის პრესსამსახურის უფროსის მაკა ფანქველიშვილის პასუხს, რომ „მსგავს ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, ამ ფაქტს კატეგორიულად გამოვრიცხავ“–გაკვირვებას იწვევს(?!) სამწუხაროდ, ზოგიერთი პრესსამსახურების „მოვალეობა“ სიმართლის უარყოფა გახდა.**

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია გმობს ჟურნალისტებზე განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობის ფაქტს.



# კახა ბურჯალიანის განცხადება

**„თავისუფალი საქართველოს? ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, კახა ბურჯალიანმა განცხადება გააკეთა, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**



„ქართული ოცნების ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ზვიად კვაჭანტირაძემ პროვოკაციული განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ მე და ჩემი გუნდი ვიმართებით ნაც. მოძრაობიდან და გვეხმარებიან, რომ მე მივიღო მეტი ხმა და წავართვა ხმები, როგორც პარტიას ასევე მის პერსონას. მე ვეკითხები ზვიადს, საიდან მოდის, თვითონ ვისთან სამსახურში შედგა მისი წარმატებული კარიერა და იმიჯი. დღეს განაწყენებული ოპოზიციონერის როლით რომ გამოდის, სად ბრძანდებოდა იმ ნოემბერ-მაისის მოვლენების დროს, როცა მე და ჩემი გუნდი ვიდექით იმ ადგილას, სადაც ოპოზიციური სული ტრიალებდა. თბილ სკამში ჩამჯდარი დღევანდელ მთავრობას უკმევდა გუნდრუკს. როცა ეშინია ადამიანს მასზე მეტი რეიტინგული ადამიანის, მაშინ იწყებს აგრესიულობას და ეს უკვე მისი ირონიული სიცილით გამოხატა ტელე კამერების წინ. შევახსენებ რომ ორივე ერთ საქმეს ვაკეთებთ დიდ პატივისცემას გამოვხატავ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ მისი საქმით და მამულიშვილობით აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ ასეთი გარემოცვით ნამდვილად მოგიწევთ ისევ ოპოზიციაში ჩადგომა თქვენი დაკომპლექტებული მთავრობით საუბარი მაქვს ერთეულებზე ამ შემთხვევაში ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატზე.

მოვითხოვ საჯაროდ მოიხადოს ბოდიში ზვიად კვაჭანტირაძემ ჩემი ამომრჩევლების და გუნდის წინაშე მე, მას როგორც ქრისტიანი მართლმადიდებელი მივუტევებ მას რათა გვახსოვდეს „მიუტევე და მოგეტევება".

# „საქართველოში ლენინიზმის ნიშნები შეინიშნება“



საზოგადოების ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ შემაშფოთებელ მესიჯებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში ჟღერს ხელისუფალთა რიტორიკაში. მათ რიტორიკაში კლასის მცნების შემოტანა ფაქტიურად ადასტურებს ევროპარლამენტის ასამბლეის თავმჯდომარის სიტყვებს, რომელმაც ლენინიზმის ნიშნები შენიშნა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

საზოგადოების კლასობრივი დაყოფის თემის შემოტანით, მიხეილ სააკაშვილმა, მისმა თანაგუნდელებმა და ე. წ. ექსპერტებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ არსებულ ხელისუფლებას, „ნაციონალურ მოძრაობას“, აღარაფერი შერჩენია ლიბერალური ღირებულებებიდან. ადამიანთა დაყოფა, დაპირისპირება, ეს იქცა ნაციონალური მოძრაობის მთავარ პრიორიტეტად.

ამიტომ მტკიცედ შემიძლია განვაცხადო, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა სრულიად გადაუხვია იმ კურსს, რომელმაც საქართველო უნდა დაამკვიდროს მსოფლიო დემოკრატიულ სამყაროში. ამ ხელისუფლების მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი დღითიდღე ამყარებს ტოტალიტარიზმის პრინციპებს. ეს არის ძალზედ საშიში მოვლენა და ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელია. ეს არ არის ის არჩევანი, რომელსაც ქართველმა ხალხმა მსოფლიო დემოკრატიულმა ძალებმა, თუ ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს 2003 წელს.

გამოვთქვამ პროტესტს ხელისუფლების ამგვარ ქმედებებზე და კიდევ ერთხელ საზოგადოებას მოვუწოდებ სრული კონსოლიდაციისაკენ.

ასეთი ფაქტების შემდეგ მყარად შემიძლია განვაცხადო, რომ დღეს საქართველოში რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც დააბრუნებს ქვეყანას, როგორც სამართლებრივ, ასევე დემოკრატიულ სივრცეში, არის საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“. ამიტომაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხი არ დაუშვებს ისტორიის ჩარხის უკან დატრიალებას. მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და „ქართული ოცნების“ გამარჯვებით რეალობად აქცევს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

**თემურ სალუქვაძე**

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი

# დახმარება ხბოს გამო მოუხსნეს(?!)



ქ. ოზურგეთში, ლესელიძის ქუჩაზე ცხოვრობს სვეტლანა ქურასბედიანი. იგი და მისი მეუღლე, ნესტორ ხუგასიანი სოციალურად შეჭირვებულნი არიან. ადრე სოციალურ დახმარებას იღებდნენ, მაგრამ 2009 წელს სოც. მუშაკებმა ეზოში ხბო ნახეს და მოუხსნეს დახმარება (?!)

სვეტლანა 56 წლისაა. მას დიაფრაგმის საყლაპავი ხვრელის I–II ხარისხის თიაქარი აქვს. ასევე დუოდენოგასტრალური რეფლექსი, ზომიერი ანემიის ენდოსკოპიური ნიშნები. სვეტლანას აუცილებლად ესაჭიროება ოპერაცია, რომელიც 7000 ლარზე მეტი ღირს. მას ხშირად აღენიშნება გაუსაძლისი ტკივილები. იძახებენ სასწრაფო ბრიგადას, ისინი მომენტალურად უყურებენ და ეუბნებიან, რომ საჭიროებს სასწრაფო ქირურგიულ ოპერაციას, რადგან მომდევნო შეტევა შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს, მაგრამ ოჯახს არანაირი სახსარი არ გააჩნია.

სვეტლანა ქურასბედიანი ითხოვს დახმარებას. იქნებ ვინმემ დაუფინანსოს ოპერაციის ხარჯები.

**ირინა ყაზაიშვილი**

# დღეს ქალბატონი სანდრა ოზურგეთს სტუმრობს

**ნუგზარ ოთარიშვილი**



დღეს ქალბატონი სანდრა ოზურგეთს სტუმრობს

ორი ქვეყნის, აზერბაიჯანის პირველი ლედის მეჰრიბა ალიევას და საქართველოს პირველი ლედის ელისაბედ სანდრა რულოვსის საქველმოქმედო ფონდებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, 1 სექტემბერს საქართველოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კულტურულ-გაცვლითი პროგრამით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან შერჩეული სოციალურად დაუცველ ნიჭიერ ბავშვთა 16-კაციანი ჯგუფი გაემგზავრა. ჯგუფს გურიის კულტურის ფონდის თავმჯდომარე, მხატვარი-გრაფიკოსი ავთანდილ თავართქილაძე ხელმძღვანელობდა.

ამ ჯგუფში იყო ოზურგეთელი მხატვრები მარიამ და მათე სანადირაძეები. პროექტის მონაწილეებმა აზერბაიჯანში 11 დღე დაყვეს და ქ. ბაქოს გარდა იყვნენ ცნობილ ტურისტულ რეგიონ გაბალაში.

**ავთანდილ თავართქილაძე:–** ქალბატონი სანდრა დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურად დაუცველ ბავშვებს, მათ შორის სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს. ეს ვიზიტი ამის დასტური იყო, რასაც ახლავს გაგრძელება კონკრეტული ღონისძიების სახით. 2012 წლის 20 სექტემბერს იგი სტუმრად კვლავ ეწვევა ოზურგეთს და აქ ბევრ სხვა ღონისძიებასთან ერთად სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიმართება გურიის სამხატვრო სკოლების ბავშვთა გამოფენა-კონკურსი, „ძალა ერთობაშია." შედგება სპეციალური კომისია, რომელიც ქალბატონ სანდრასთან ერთად შეაფასებს ბავშვთა ნამუშევრებს ნომინაციების მიხედვით. მოეწყობა გამარჯვებულ ბავშვთა დაჯილდოება.

ღონისძიების მოწყობაში აქტიურადაა ასევე ჩართული ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

# ტრაგედია, რომელმაც შეძრა ოზურგეთი



ეკა ოზურგეთის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ზაურ რუსიეშვილის მეოთხე ნაბოლარა შვილი იყო. როგორც დედმამიშვილებში, ასეთივე სიყვარულით სარგებლობდა და კაიქალობით იცნობდნენ სოფ.ოზურგეთშიც.

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც რიკოთის უღელტეხილზე შემზარავი ტრაგედია მოხდა. თბილისიდან ზესტაფონში სასიკეთო საქმეზე მიმავალნი ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ რძალ-მული ეკა რუსიეშვილი და სოფო ონიანი ორ უახლოეს ადამიანთან ერთად.

ყველაფერი კი ასე მოხდა. სოფოს და გაუბედნიერდა. სოფომ უსაყვარლეს რძალ ეკასთან ერთად გადაწყვიტა წვეოდა დას მომავალი ბედნიერების აღსანიშნავად დეტალებზე მოსალაპარაკებლად...

მას და ზურაბ ონიანს ერთი ვაჟი კაკო ჰყავდათ. ასევე კარგი მეუღლე და ორი შვილის დედა იყო სოფო ონიანიც.

მთელმა ოზურგეთმა დაიტირა ისინი. ყველა თანაუგრძნობდა მათ ახლობლებს. ძნელია ამის დავიწყება არა მარტო ოჯახის წევრებისათვის, არამედ ყველა იმათთვის, ვინც კი იცნობდა ამ ადამიანებს.

ღმერთი ნათელს დაუმკვიდრეს მათ სულებს.

**ავთანდილ გუჯაბიძის ოჯახი.**

# ჩემპიონი და პრიზიორები გამოვლინდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩემპიონი და პრიზიორები გამოვლინდა

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში 3-15 სექტემბერს ჩატარდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ჭადრაკში. მასში 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ელგუჯა ურუშაძემ, რომელმაც 12-დან 9 ქულა დააგროვა. გასული წლის ჩემპიონმა გივი სიამაშვილმა, ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვა და ამჯერად ვიცე-ჩემპიონის ტიტულს დასჯერდა.

III-IV ადგილები 8-8 ქულით 11 წლის მიშიკო ქურიძემ და აკაკი გოგუამ გაიყო, თუმცა მათ შორის III ადგილისათვის გამართულ მატჩში აკაკი გოგუამ იმარჯვა.

აღნიშნულმა პრიზიორებმა ავტომატურად მიიღეს გურიის მე-17 რეგიონალური პირველობის საგზურიც, რომელიც ნოემბერში გაიმართება. მასში ოზურგეთელებს 5 ადგილი ექნებათ დათმობილი. ამიტომ პრიზიორების გარდა დარჩენილი 2 ადგილისათვის მიშიკო ქურიძესა და მე–V ადგილზე გასულ დავით კილურაძეს მოუწევს დამატებით ტურნირში მინდია ჩხიკვიშვილთან, შოთიკო ჯოჯუასთან და გიგა ქუტიძესთან პაექრობა. ამ მოჭადრაკეებმა, რომლებსაც მაღალი სარეიტინგო ქულები გააჩნიათ, საპატიო მიზეზით ვერ შეძლეს ჩემპიონატის მარათონში ჩაბმა.

ჩემპიონატი ორგანიზებული იყო გურიის ჭადრაკის ფედერაციისა და სპორტის განვითარების ცენტრის მიერ.

# ქეთო სალუქვაძე-ბერძენიშვილი



ხუთი წელი გავიდა უშენოდ ჩვენო საყვარელო დედა და ბებია. მუდამ სიყვარულით და სიკეთით იყავი ყოველთვის, –საუკეთესო დედა, მეუღლე, ბებია, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ამიტომ ვერ გივიწყებთ შენი ოჯახის წევრები. ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**შენი ოჯახი**

# მამია (მამული) მენაბდე



თითქოს გუშინ იყო, გვხვდებოდა, გვესალმებოდა, გვიღიმოდა, ამბებს გამოგვკითხავდა, გაგვეხუმრებოდა. 40 დღე კი გასულა.

მძიმე სენს ვაჟკაცურად დაუხვდა. არ ჩაუწვა, თავი არ დააჩაგვრინა. ბოლომდე ფეხზე იდგა. ეზოში ფუსფუსებდა შვილებისა და შვილიშვილებისთვის თესავდა, რგავდა, აშენებდა და ამშვენებდა. ბოლო დაბადების დღეზე შეკრებილ მეგობრებსა და ახლობლებს ქეიფის ეშხი გაუკრთა. ბზარი გაჩნდა თამადის ხმაშიც. რამდენიმე დღის შემდეგ კი აღარ იყო.

არაჩვეულებრივი პიროვნება, მეუღლე, მამა, ბაბუა, მეზობელი, მეგობარი მამია (მამული) მენაბდე უკვე მარადისობისა და მოგონებების ბინადარი გახდა. წავიდა და დაგვიტოვა მონატრების უსაშველო ტკივილი, კაცური კაცის სახელი და საფლავის ქვას შემორჩენილი სევდიანი ღიმილი.

**უახლოესი მეზობლები**


## აფთიაქი „სალბი" გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. № 13

## ოზურგეთის შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექტივი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



## გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

**გია ნაკაიძე,**

**სს „ენერგო პრო ჯორჯიას" ოზურგეთის მომსახურების ცენტრის მენეჯერი.**

## ინგლისური ენის შესწავლის მსურველების საყურადღებოდ!

გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში ინგლისური ენის შესწავლის მსურველთათვის ფუნქციონირებს ცენტრი. ინგლისური ენის შემსწავლელი პროგრამა ორგანიზაციაში 2005 წლიდან მოქმედებს და იგი ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით დაფუძნდა. 2011 წლის სექტემბრიდან ორგანიზაციაში დაარსდა ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი. მიმდინარე 2012-2013წელს სწავლება განხორციელდება განახლებული მეთოდური ლიტერატურით და ახალი პედაგოგებით, რომლებსაც დახმარებას გაუწევს ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისე.

**ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი მომხმარებელს სთავაზობს:**

***ინგლისური ენის კურსი მასწავლებლებისათვის;**
***ინგლისური ენის კურსი აბიტურიენტებისათვის;**
***ინგლისური ენის კურსი ენის სხვადასხვა საფეხურზე დაუფლების მსურველებისათვის;**
***ინგლისური ენის კურსი ბავშვებისათვის.**

მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე:
**ოზურგეთი, რუსთაველის ქ №4, (კინო „ოზურგეთის" გვერდით), მე-2 სართული**
**გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი**
**ტელ: 27 41 26; მობ: 599 15 63 84; 595 55 48 00**
ელ. ფოსტა: **gyrc.info@gmail.com**

# ქვეყნის მოსწავლეებო, მასწავლებლებო, მშობლებო! გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



თამაზ სალუქვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, კომისიის თავმჯდომარე (დ)



მერაბ მჟავია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი (დ)



გოგა ტრაპაიძე,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის დირექტორი (დ)

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრის კოლექტივი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



## ინდმეწარმე „ვასილ ბეშიტაიშვილი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



გვეწვიეთ, ჩვენთან მომსახურების ფასით აჩრევანის!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. № 17 (დ)

## მაღაზია „თა-პა-სი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!



გვეწვიეთ, ჩვენთან სასკოლო ნივთების ფასით აჩრევანის!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. № 10 (დ)

## აფთიაქი „PM“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!




მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. № 12 (დ)

## კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!




(დ)

## ვულოცავთ!

ყველაზე მაგარ, სულით და ხორცით ქართველ ვაჟკაცს,
მიშიკო ჯინჭარაძეს

ვულოცავთ ღირსეულ, წარმატებულ სტუდენტობას. გისურვებთ ბედნიერად გაგეტარებინოს ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები.

უფალი იესო ქრისტე იყოს შენი და შენი საუკეთესო ოჯახის მფარველი. ღვთისმშობლის მადლი არ მოგკლებოდეს მუდამ!

**მაგული ბებოს მეგობრები, ხათუნა და მარინა მუჯირები**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru